

## საქართველოს კანონი

### „ლატარიების, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების მოწეობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე“

მუხლი 1. „ლატარიების, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების მოწეობის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №15, 19.04.2005, მუხ. 96) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები და დამატება:

1. მე-6 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. საქართველოში ლატარიის ორგანიზებასა და ჩატარებას ახორციელებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ ჩატარებულ

ტენდერში გამარჯვებული პირი. ტენდერში გამარჯვებულად განისაზღვრება ის პირი, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტში ყოველწლიურად გადაიხდის ლატარიის ჩატარებისას რეალიზებული

ბილეთების ჯამური ღირებულების მაქსიმალურ ოდენობას, მაგრამ

არანაკლებ 20 პროცენტისა, საიდანაც 75 პროცენტი გამოეყოფა კულტურის, ძეგლთა დაცვისა სპორტის სამინისტროს, სპორტისა და

კულტურის განვითარებისათვის განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების შესრულებისათვის“;

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ტენდერის პირობები თანხმდება საქართველოს მთავრობასთან“;

2. ამოღებულ იქნას 38-ე მუხლის პირველი პუნქტი.

3. 38-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ამ კანონის ამოქმედებამდე კანონმდებლობის საფუძველზე გაცემული ლიცენზიები (გარდა სამორინეებისა და ლატარიებისა) ამ

კანონის ამოქმედებიდან 3 თვის ვადაში ექვემდებარება ნებართვებად

გაფორმებას, ხოლო სამორინეების მოწეობისათვის გაცემული

ლიცენზიები და ნებართვები ძალაშია 2006 წლის 1 იანვრამდე, რომლის შემდეგაც სამორინეს მოწყობისათვის ნებართვები გაიცემა ამ

კანონისა და „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“

საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად“;

4. კანონის 38-ე მუხლს დაემატოს მე-2<sup>1</sup> პუნქტი:

„2<sup>1</sup>. ლატარიების ორგანიზებისათვის ეროვნული ლატარიის ფონდის

მიერ ჩატარებულ ტენდერში გამარჯვებულ პირებს ლატარიის ჩატარების უფლება გაუგრძელდეთ, ფინანსთა სამინისტროს მიერ ჩატარებულ ტენდერში გამარჯვებული პირის გამოვლენამდე.

**მუხლი 2.** საქართველოს მთავრობამ ამ კანონის ამოქმედებიდან ორი თვის ვადაში უზრუნველყოს ეროვნული ლატარიის ფონდის ლიკვიდაცია.

მუხლი 3. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი